პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

20 აპრილი, ოთხშაბათი, 1988 წ.
№ 77 (9744) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა დარჩა არაჯამია-კახიანის მატჩი



ქეთევან კახიანი

თექვსმეტ და ოც წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალურ ტურნირში, რომელიც აზერბაიჯანის დედაქალაქში მიმდინარეობს, ვადამდე გაიმარჯვა ქართველმა მოჭადრაკემ ქეთევან კახიანმა. ამ შეჯიბრებაში წარმატების მოპოვება იოლი საქმე არ არის, მაგრამ დიდი ლილოს საშუალო სკოლის ფრიადოსან მოსწავლეს სწამდა გამარჯვებისა, განსაკუთრებული მონდომებით იბრძოდა ყველა პარტიაში და შედეგიც ჩვენს თვალწინაა. რა თქმა უნდა, მის ამ ახალ დიდ წარმატებაში განუზომელია ახალგაზრდა მწვრთნელის გიორგი მაჭარაშვილის დამსახურება. გ. მაჭარაშვილი ფიქრიანი, დინჯი ადამიანია და ეს თვისებები თავის მოწაფესაც „გადასდო“. ახლა ქეთევან კახიანი ფინალურ მატჩში უნდა შეხვდეს თბილისელ დიდოსტატ ქეთევან არახამიას. მათ შორის გამარჯვებული შემოდგომაზე 20 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობაში ითამაშებს (ავსტრალია), დამარცხებული კი ევროპის პირველობაზე გაემგზავრება.

II ადგილი შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე დაისაკუთრა ბაქოელმა ოსტატმა აინურ სოფიევამ, III ადგილისთვის

იხ. მე-4 გვ.

ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

რეპეტიცია ოლიმპიადის წინ

ლონდონი. აქ მიმდინარეობს ევროპის 31-ე ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელსაც კონტინენტის უძლიერესი ათლეტები, მათი მწვრთნელები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. ოლიმპიურ წელს ევროპის ჩემპიონატი მსოფლიოს ამ რეგიონის ათლეტთათვის ყველაზე ავტორიტეტული ტურნირია, რომელშაც საბოლოო სიცხადე უნდა შეიტანოს ნაკრები გუნდების წევრთა მომზადებაში. საბჭოთა სპეციალისტებიც მიმდინარე ჩემპიონატს ამ თვალსაზრისით განიხილავენ, თუმცა გუნდის შემადგენლობა საბოლოოდ მოგვიანებით დაზუსტდება საკავშირო ჩემპიონატის შემდეგ. ამდენად ჩვენთვის ეს ტურნირი ექსპერიმენტულ ხასიათსაც ატარებს.

ჩემპიონატის ოქროს მედლებისთვის 25 ქვეყნის 140-ზე მეტი ათლეტი იბრძვის. მათ შორის არიან ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები:

საბჭოთა კავშირის ნაკრები ამჯერად ასე გამოიყურება: 48 კგ ვასილი გოგოლევი (იაკუტსკი) — ევროპის 1985 წლის ჩემპიონი, 52 კგ ვლადიმერ ტოგუზოვი (ორჯონიკიძე) — ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, 57 კგ სერგეი ბელოგლაზოვი (კიევი) — მსოფლიოს ბრავალგზის ჩემპიონი, 62 კგ სტეპან სარკისიანი (კიროვაკანი) — ნაკრების ერთადერთი დებიუტანტი, 68 კგ არსენ ფაძაევი (ტაშკენტი) — მსოფლიოს ბრავალგზის ჩემპიონი, 74 კგ ადლან ვარაევი (გროზნო) — მსოფლიოს ბრავალგზის ჩემპიონი, 82 კგ იური ვორობიოვი (მოსკოვი) — ევროპის 1985 წ. ჩემპიონი, 90 კგ მახარბეკ ხადარცევი (ტაშკენტი) — მსოფლიოს ჩემპიონი, 100 კგ ლერი ხაბელოვი (თბილისი) — მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, 130 კგ ასლან ხადარცევი (ტაშკენტი) — მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი.

პირველი შეხვედრები ყველა საბჭოთა მოჭიდავემ მოიგო, ნაკრების დებიუტანტმა სტეპან სარკისიანმა კი ორი წმინდა გამარჯვება მოიპოვა.

ელვა-ინფორმაცია

როგორც ცნობილი გახდა, თბილისელი ლერი ხაბელოვი გავიდა ფინალში, სადაც ინგლისელ ლობანს შეხვდება. დებიუტში წარმატების შემდეგ თბილისელმა მოჭიდავემ გფრ-ის წარმომადგენელს დიდი უპირატესობით აჯობა (13:0), მერე ზედიზედ წმინდად დაამარცხა გდრ-ისა და უნგრეთის ათლეტები.

ქართველ ბატუტზე მხტომელს ანა დოლონაძეს საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელებმა კარგა ხანია დაადგეს თვალი. 14 წლის სპორტსმენმა თავი გამოიჩინა საკავშირო რანგის ზოგიერთ შეჯიბრებაშიც. მიუხედავად ამისა, მაინც მოულოდნელი იყო მისი გამარჯვება შფრიწავ-ქოსმონავტ გ. დობროვოლსკის ხსოვნისადმი მიძღვნილ საკავშირო შეჯიბრებაში, რომელიც თბილისში გაიმართა. ანას ხომ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთა და პრიზიორთა კარემოცვაში მოუხდა ბრძოლა.

შეჯიბრების პროგრამაში „ლელოს“ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

ელვა-ინფორმაცია

დამთავრდა მოსკოვის თახის ღია გათამაშება თანამედროვე ხუთჭიდში. 18 გუნდს შორის უძლიერესი აღმოჩნდა სსრ კავშირის მეორე ნაკრები, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ა. ავდეევი (მოსკოვის ოლქი), ვ. იაგორაშვილი (თბილისი) და გ. იუფეროვი (ლენინგრადი). ამ სამეულმა ყველაზე მეტი — 16324 ქულა მოაგროვა და გუნდური პირველობა მოიპოვა. პირად ჩათვლაში გაიმარჯვა ავდეევმა — 5630 ქულა. ვ. იაგორაშვილი VII ადგილზე გავიდა — 5377 ქულა.

სინგაპურის ღია ჩემპიონატის პირველ წრეში თბილისელმა ჩოგბურთელმა ლეილა მესხმა დაამარცხა ჰონკონგელი ჰ. მორენო — 6:2, 6:2.

ბიბლიოთეკა

სპორტში წარმატებას ის აღწევს, ვინც უკეთ მოემზადა ამა თუ იმ შეჯიბრებისათვის, ვინც გაცილებით მეტი იშრომა და მეტი ოფლი დაღვარა, ვინც მკაცრად იცავს სპორტულ რეჟიმს... მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც გამარჯვების მწვერვალთან მისაღწევ იოლ გზას ეძებენ და ზოგჯერ პოულობენ კიდეც, პოულობენ სიყალბით, სიცრუით, კანონის დარღვევითაც კი...

იხ. მე-2 გვ.

გამოხმაურება წერილზე „კოოპერატორებს — მხარდაჭერა“

ელოდებიან მსურველებს

„ლელოს“ 16 აპრილის ნომერში დაიბეჭდა სარედაქციო წერილი „კოოპერატორებს—მხარდაჭერა“, სადაც წინადადება წამოვაყენეთ საცხოვრებელ ადგილებში გაშენებული სპორტული მოედნების კოოპერატორებზე გადაცემის შესახებ.

გუშინ თბილისის საბინაო მეურნეობის სამმართველოდან გვაცნობეს, რომ წერილი „კოოპერატორებს—მხარდაჭერა“ განუხილავთ და გვთხოვეს გაზეთის საშუალებით ვაცნობოთ მსურველებს, რომ თბილისის საბინაო მეურნეობის სამმართველო მზადაა ხელი შეუწყოს ყველას, ვინც მოიწადინებს შექმნას სპორტული კოოპერატივი საცხოვრებელ ადგილებში. მსურველებმა სამმართველოში უნდა წარადგინონ კონკრეტული გეგმა იმის შესახებ თუ სად, რა საშუალებებით აპირებენ გახსნან კოოპერატივი.

სვალინდელ დღეზე ზრუნვით

გამარჯვებით აღნიშნეს თავიანთი დებიუტი საკავშირო ასპარეზზე თბილისის ცურვის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული ექსპერიმენტული სკოლის აღსაზრდელებმა. მათ გუნდურ წარმატებას მიაღწიეს მატჩ-ტურნირში, რომელიც ლიტვის ქალაქ ალიტუსში გაიმართა. ეს ფაქტი აღსანიშნავია იმით, რომ სკოლა მხოლოდ შარშან სექტემბერში შეიქმნა.

დიდი ხანია ამაღლებული ტონით არ ულაპარაკიათ ჩვენს მოცურავეებზე, მრავალი წლის მანძილზე ცურვა თეთრ ლაქად რჩება საქართველოს სპორტულ რუკაზე. რა თქმა უნდა, რესპუბლიკის სპორტსახკომი ეძებს გამოსავალს გაჭიანურებული კრიზისიდან.

— თბილისში ნორჩ მოცურავეთა ახალი ექსპერიმენტული სკოლის შექმნის იდეაც აგრეთვე სპორტსახკომს ეკუთვნის, — თქვა სკოლის უფროსმა მწვრთნელმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა ლევ ვეჩხაიზერმა. — თავისი სტრუქტურით ჩვენი სასწავლებელი ჯერჯერობით ერთადერთია ქვეყანაში. მისი გრძელვადიანი პროგრამა კი ითვალისწინებს რეზერვის მომზადებას რესპუბლიკის ნაკრები გუნდისათვის და მიზნად ისახავს არა ერთი ან ორი, არამედ მაღალკვალიფიციურ მოცურავეთა მთელი ჯგუფის მომზადებას.

სკოლაში ჩაირიცხნენ ისინი, ვინც შეძლო საკონკურსო გამოცდების ჩაბარება. ეს არის 1973-74 წლებში დაბადებული 34 გოგონა და ბიჭი. სსრ კავშირის ხალხთა 1991 წლის სპარტაკიადისათვის ისინი მიაღწევენ ოპტიმალურ ასაკს და შეძლებენ მაღალი საკავშირო დონის შედეგების ჩვენებას.

იხ. მე-4 გვ.

„უნივერსიადა—88“

ნლევანდელი „უნივერსიადა-88“ ტარდება დევიზით: „სპორტში მეგობრობიდან — დედამიწაზე მშვიდობისათვის“

წლეულს, ტრადიციისამებრ, გაიმართება სტუდენტთა რესპუბლიკური საზაფხულო თამაშები „უნივერსიადა-88“, რომლის მიზანია უმაღლეს სასწავლებლებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესება, ფიზკულტურასა და სპორტში სტუდენტთა, ასპირანტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ჩაბმა, საკავშირო „უნივერსიადა-88“-ისთვის მონაწილეთა შერჩევა.

შარშან, შემოდგომაზე, პირველ ეტაპზე სასწავლო ჯგუფებში გაიმართა მასობრივი შეჯიბრებები; მეორე ეტაპზე მოეწყო უმაღლესი სასწავლებლების შიდასაკოლექტივო სპარტაკიადები, რომლებშიც ფაკულტეტებისა და სპორტკლუბების გუნდები მონაწილეობდნენ, ახლა კი მესამე, გადამწყვეტი ეტაპის დროც მოვიდა. ფინალური შეხვედრები სპორტის 28 სახეობაში გაიმართება. „უნივერსიადა-88“-ის საზეიმო გახსნა მოეწყობა 20 აპრილს მ. კეკელიძის სახელობის კალათბურთის სასახლეში (კიროვის პარკში), ხოლო ფინალური შეხვედრები, რომელიც უკვე დაიწყო, ივნისამდე გასტანს.

ხარვეზებზე — საჯაროდ!

დედანთან სწორი არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანუ იმის შესახებ, თუ როგორ ამახინჯებენ პიროვნების დამადასტურებელ საბუთებს სპორტში ნარმატების მოსაპოვებლად

სპორტის ყველა სახეობის წარმომადგენლებთან, განსაკუთრებით დამწყებ, მოზარდ სპორტსმენებთან სამსახურებრივი ურთიერთობა მაკავშირებს და გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთი მათგანის სპორტული ბიოგრაფია იწყება არა ამაღლებული, რომანტიკული გრძნობით, არამედ ტყუილით, ანგარებითა და სიყალბით. ამას, ცხადია, ბავშვები ვერ მოახერხებდნენ, უფროსები რომ არ უწყობდნენ ხელს.

მოგეხსენებათ, სპორტი ნებისყოფისა და სილამაზის სამყაროა, ზოგიერთისთვის კი, სამწუხაროდ, იგი უზრუნველი ცხოვრების საშუალებად ქცეულა. ამა თუ იმ მოზარდს კარგი სპორტული მონაცემები თუ აღმოაჩნდა, მაშინვე გამოჩნდებიან „ყურადღებიანი“ მწვრთნელები, რომლებიც მშობლებსაც აიყოლიებენ და „საერთო ძალებით“ ითხოვენ ახალბედა, მოზარდი სპორტსმენის დაბადების თარიღის შეცვლას. არ გაგიკვირდეთ, თან იმასც გვიმტკიცებენ, პატრიოტიზმი და რესპუბლიკის ინტერესები გვამოძრავებსო.

გაგაცნობთ რამდენიმე ფაქტს. 1967 წელს დაბადებულმა სპორტსმენმა მაღრაძემ წარმოადგინა დაბადების მოწმობა № 489304, სადაც მითითებულია, რომ იგი დაიბადა 1968 წელს წალენჯიხის რაიონის სოფელ მუკავაში. სინამდვილეში, აღნიშნული მოწმობა გაცემულია 1977 წელს ა. გ. მიქელიანზე, რომელიც დაიბადა 1941 წელს დმანისში. მაღრაძემ ჩაიგდო ხელში ის მოწმობა, წაშალა ტექსტი, დატოვა მხოლოდ ბეჭედი და ხელმოწერა და შეავსო იმ მონაცემებით, რომლებიც მას აძლევდა ხელს. როცა გუსაყვედურეთ, ასეთი სიყალბე რატომ ჩაიდინეო, შვიდად გვიპასუხა — მარტო ჩემი რატომ გაგიკვირდათ, განა ყველა ასე არ იქცევაო?

სამწუხაროდ, მაღრაძე მარითალი იყო — იმ ხანებში ძალზე გახშირდა ყალბი დაბადების მოწმობების და ასლების გამოყენება. რამდენიმე შემთხვევას გავიხსენებ.

ერთხელ „ზენიტის“ რესპუბლიკურმა საბჭომ 5 სპორტსმენის დაბადების მოწმობა წარმოადგინა. 3 მათგანი ყალბი აღმოჩნდა. სპორტკომიტეტის მიერ წარმოდგენილ 63 მოწმობაშიც ამდენივე ყალბი საბუთი აღმოჩნდა, 5 მოწმობის ჩანაწერს კი მითითებული ადგილისა და თარიღის მიხედვით ვერ მივაკვლიეთ. ეს საბუთებიც, ცხადია, ყალბი ან გადასწორებული იყო.

35-ე საფეხბურთო სპეციალიზებული ექსპერიმენტული სკოლის მოსწავლეს კ. ა. ლილუაშვილს აღმოაჩნდა ყალბი პასპორტი, გაცემული 1985 წელს თერჯოლის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ. იყო შემთხვევა, როცა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რესპუბლიკურმა საბჭომ შეამოწმა 22 სპორტსმენის ჩანაწერი და გამოირკვა, რომ ერთი პასპორტი „არასწორი“ იყო.

საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოდან შემოწმდა 7 სპორტსმენის ჩანაწერი, 3 მათგანი ყალბი აღმოჩნდა, სპორტსმენ ხორგუაშვილის დაბადების მოწმობა კი ისე და იმდენჯერ იყო გადასწორებული, რომ ძნელი დასადგენი იყო, ვინ დაიბადა, სად და როდის. არადა, ამ მოწმობით ხორგუაშვილმა სპორტში მეცადინეობაც დაიწყო და შინაგან საქმეთა განყოფილებაში მის საფუძველზე პასპორტიც გაიცა.

საქართველოს ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები გუნდის ერთ-ერთ წევრს აღმოაჩნდა ყალბი დაბადების მოწმობა და მის საფუძველზე მიღებული პასპორტი და სამხედრო ბილეთი.

თერჯოლის მმაჩის განყოფილების მიერ გაცემულ დაბადების მოწმობაში სპორტსმენმა შ. ბ. ბრეგაძემ წაშალა 1967 წელი და მის ნაცვლად 1968 ჩაიწერა. ასევე ერთი წლით „გაახალგაზრდავა“ თავი 1971 წელს დაბადებულმა ცაგარეიშვილმა.

წულუკიძის რაიონის ნოტარიუსის მიერ დამოწმებულ ერთ-ერთ ასლში 1968 წლის ნაცვლად ჩაბეჭდეს 1969 წელი.

აი, ასე ხდებოდა ნამდვილი საბუთების გაყალბება. სხვათა შორის, ამას ზოგჯერ ისე უბრალოდ მოითხოვდნენ, თითქოს მაღაზიაში რაიმეს ყიდულობდნენ. კიდევ რამდენიმე მაგალითი:

სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ ამიერკავკასიის რკინიგზის ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის სპორტსკოლიდან გვთხოვეს შეგვემოწმებინა ამ სკოლის 20 მოსწავლის დაბადების მოწმობის სისწორე. აღმოჩნდა, რომ მ. ბერიძე და ნ. დიაკონიძე დაბადებული არიან 1975 წელს, მოწმობით კი ერთი წლით უმცროსები არიან.

35-ე საფეხბურთო სკოლის დირექციამ შეამოწმა 80 მოსწავლის ჩანაწერი. ნ. ბიბილაძის დაბადების მოწმობა ქიმიური საშუალებებით გადარეცხილ და მერე ისე შედგენილი აღმოჩნდა, რომ ვერ შევძელით დაგვედგინა — როდის დაიბადა იგი და სად. კიდევ ერთხელ ვიმეორებ — ისე. როგორც სხვები, ეს სიყალბეც, ცხადია, უფროსთა ნახელავია. ამას მოზარდი სპორტსმენი დამოუკიდებლად, რა თქმა უნდა, ვერ შეძლებდა.

იმის გამო, რომ ფეხი მოიკიდა გადასწორებული ან ყალბი მოწმობებით სპორტში მეცადინეობის მავნე პრაქტიკამ, ჩამოყალიბდა აზრი, რომ ყველა სპორტსმენის დაბადების ჩანაწერი შემოწმდეს მშობლის რესპუბლიკურ არქივში. ამიტომ არის, რომ ბოლო ხანებში ასეთი ფაქტები შედარებით იშვიათად გვხვდება, თუმცა...

შარშან 17 ივლისს, ფოთის ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის მომართვის საფუძველზე შევამოწმეთ ოთხი სპორტსმენის საბუთები: სამი პასპორტი და ერთი დაბადების მოწმობა. სამივე პასპორტი არასწორი აღმოჩნდა — მათი მფლობელები ა. ონიგავა, კ. ტურავა და გ. აბსარიძე დაბადებული არიან 1970 წელს, პასპორტში კი 1971 წელი ეწერათ, რომ არა საარქივო შემოწმება, ისინი ყალბ პასპორტებთან ერთად ყალბ სამხედრო ბილეთებსაც აიღებდნენ. აღნიშნული მასალები გადაეგზავნა ფოთის პროკურატურას.

მიმდინარე წლის 16 მარტს ლანჩხუთის სპორტკომიტეტმა გვთხოვა შეგვემოწმებინა ოთხი ფეხბურთელის დაბადების წელი და თარიღი. ერთ მათგანს, თ. ფირცხალაიშვილს, რომელიც დაბადებულია 1971 წლის 19 ივლისს, წარმოდგენილ დაბადების მოწმობაში 1972 წლის 19 აგვისტო ეწერა. ამ შემთხვევაში შეიცვალა არა მარტო დაბადების წელი, არამედ თვეც და აი, რატომ: ზოგჯერ დაბადების თვეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, სპორტში მომეცადინე ბავშვთა ჯგუფში იასპარეზებს თუ მოზარდებში.

საერთოდ, დაბადების მოწმობის შევსება არასპეციალისტებისათვის ძნელია. ასევე ძნელია მათთვის საბუთებში სიყალბის შემჩნევა. ჩვენ კი, როცა ქიმიური საშუალებებით გადარეცხილ და ახლადშევსებულ მოწმობას შევხედავთ, მაშინვე ვხვდებით, რაშია საქმე. თუმცა ამ ნაირი საბუთების მფლობელები დაარხეინებულა არიან და „გაგვაცურებენ“. ამ მოქალაქეებს უნდა შევახსენო: არქივი სწორედ იმიტომ არსებობს, მოქალაქეთა მდგომარეობის საპატიო ჩანაწერები მუდმივად იმიტომ ინახება, რომ ყალბისმქნელებს გზა მოეჭრათ და სიმართლეს გვერდი ვერავინ აუქციოს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სპორტსმენთა პირად საქმეებში ხშირად ვხვდებით დაბადების მოწმობების ასლებს, რომლებიც დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიუსის ან იმ დაწესებულებაორგანიზაციის მიერ, სადაც უნდა წარადგინონ ეს საბუთი, ჩვენთან კი მოაქვთ სახლმმართველობების, საპოსტო სატელეფონო სამსახურების და სხვათა მიერ დამოწმებული ასლები, რაც არასწორია. ასევე ხშირად გვხვდება საბუთები მრგვალი ბეჭდით რომ არის დამოწმებული, მაგრამ ორგანიზაციის სახელწოდება არ იკითხება. ესეც თვალის აბეზრების მიზნით კეთდება.

მმაჩის რესპუბლიკურ არქივში 1981 წლიდან დაბადების მოწმობებს და ამონაწერებს პასტით ვავსებთ, რადგან ასეთი ჩანაწერი ძნელად წასაშლელია, მაგრამ ზოგიერთი ამონაწერის სუფთა ბლანკს შეულოსნის, რაც სხვათა შორის, დიდი პრობლემა არ არის, ქმიტომ, სასურველია, თვითონ სპორტორგანიზაციებმა წარმოგვიდგინონ გადასამოწმებელი მასალები.

არ მინდა მკითხველმა იფიქროს, თითქოს სიყალბე მარტო სპორტში ხდება. თაღლითები და ყალბისმქნელები ყველგან, ყველა სფეროში არიან, მაგრამ მოზარდის ჩამოუყალიბებელ პიროვნებას საყალბით რომ დავდაღათ, წარმატებას სიცრუით რომ მოვპოვებინებთ და მერე ამას საბალხოდ ვიზეიმებთ, ეს, ვფიქრობ, საშინელებაა. საშინელებაა არა მარტო სპორტისთვის, არამედ მთელი საზოგადოებისთვის, მისი მომავლისთვის.

ჩვენთან „საქმის ჩასაწყობად“ მოსულები ზოგჯერ გვარწმუნებენ — ვერავინ გაიგებსო. ასე არ არის. ბავშვებმა, მშობლებმა და მწვრთნელებმა ხომ იციან როდის დაიბადა შავანი და მავანი. თუ ზოგიერთის ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდა, მაშინვე განგაში ატყდება: იმან ხომ სიყალბით მიაღწია მიზანსო. მახსოვს, რამდენიმე წლის წინათ ჩვენთან ჩოგბურთის მწვრთნელი მოვიდა და საბუთების შემოწმება გვთხოვა: ხუთი სპორტსმენი შეეარჩიე შეჯიბრებისთვის, დანარჩენები კი განაწყენდნენ და იჩივლეს, ეგენი გადაზრდილები არიანო. ხუთივე მართლაც გადაზრდილი აღმოჩნდა. უნდა გენახათ, რა დღეში ჩავარდა ეს მწვრთნელი.

იმასაც გავიხსენებ, როგორ გაოგნდა ერთი მწვრთნელი, რომელმაც მისი ახალი აღსაზრდელის ჩანაწერის შემოწმება გვთხოვა. როცა გავირკვა, რომ ეს ჩანაწერი ყალბი იყო, მწვრთნელმა გულისტკივილით შემოგვჩივლა: ეს ბავშვი მამამისმა წინ დამიყენა, მხარზე ხელი დამადო და მითხრა, ეს მომიკვდეს, თუ იმ წელს არ იყოს დაბადებული, რომელიც მოწმობაში უწერიაო.

მოგეხსენებათ, არქივის ჩანაწერი პირველადია. როცა ბავშვი იბადება, როცა მას რეგისტრაციაში ატარებენ, არავიან იცის, რა გზას აირჩევს იგი ცხოვრებაში. თუ სპორტსმენი დადგა, მაშინ იწყება წუხილი — დეკემბერი რომ არ ჩაგვეწერა, ერთი წლით უმცროსებში ჩაირიცხებოდა, მეტს მიაღწევდა და ა. შ. იმ დროს გამოჩნდებიან „ჰკვიანი ადამიანები“, „ყურადღებიანი“ ნაცნობ-მეგობრები, გავლენიანი გულშემატკივრები და იწყებენ ჭკუის სწავლებას: ბავშვს დაბადების წელი ან თარიღი თუ არ შეუცვალეთ, ჩემპიონობას დაკარგავს, უმაღლესში არ ჩარიცხავენ, ჯარში წაიყვანენ, ბინას და მანქანას არ მისცემენო. რაოდენ სავალალოა, რომ ყველა ეს სიკეთე სიცრუით უნდათ მიიღონ. თუ ამ „საქმეში“ ხელი შეუწყვალეთ, ჯერ ქრთამს გვთავაზობენ, მერე ტელეფონით გვაშუხებენ, შემდეგ „გავლენიან პირებს“ „გვაშლებენ“. თუ ამანაც არ გაჭრა, იწყება ხმამაღალი ლაპარაკი, საყვედურები, მუქარა...

სხვათა შორის, ჩემი ხანგრძლივი პრაქტიკის პერიოდში არ მახსოვს შემთხვევა ოფიციალურ პიროვნებას მოემართოს ასეთი წინადადებით. მშობლები, მწვრთნელები, გულშემატკივრები, რამდენიც გნებავთ.

დაბადების წელი და თარიღი ისეთი მონაცემებია, რომელთა შეცვლა ისევე არ შეიძლება, როგორც მეორედ დაბადება. როგორ შეიძლება ადამიანი დღეს 1967 წელს, ხვალ კი ერთი წლით გვიან დაბადებულად მოგვევლინოს. საკითხავია, რა საჭიროა მაშინ არქივის მასალები?

მმაჩს რესპუბლიკურ არქივში ინახება ჩვენს რესპუბლიკაში დაბადებული ყველა მოქალაქის პირველადი ჩანაწერი. სასურველია, რომ დამწყებ სპორტსმენთა დაბადების მონაცემები შემოწმდეს ამ არქივში, რათა თავიდან ავიცილოთ ის სიყალბეები, რომლებზედაც ზემოთ ვთქვი.

ნუ შევეცდებით დაბადების წელსა და თარიღის შეცვლას — ეს უსათუოდ გამოირკვევა და ყალბისმქნელები სათანადოდ დაისჯებიან. ნურც გადასწორებულ საბუთს მივიღებთ — გახსოვდეთ, გადასწორებულ საბუთს ძალა არა აქვს, იგი ღელდანთ არ არის სწორი.

ციალა ხომერიკი,
საქართველოს სსრ მმაჩის რესპუბლიკური არქივის გამგე.

ზუგდიდიდან თბილისამდე და სხვა მარშრუტებით

გასულ წლის ოქტომბრის დასაწყისში საქართველოს ალკ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტში ჭაღარა ქალი გამოცხადდა და სურვილი გამოთქვა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის საიუბილეო დღეებში ფეხით გაევლო გზა ზუგდიდიდან თბილისამდე. კომკავშირელებს არ გაჰკვირვებიათ ბაბუცა მაქაცარიას ასეთი განცხადება; მან ხომ ადრე, 1985 წელს, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავზე, ფეხით გაიარა გზა ზუგდიდიდან ნოვოროსიისკამდე, დანიშნულ დღეს ჩავიდა გმირ ქალაქში და მონაწილეობა მიიღო გამარჯვების დღესასწაულში.

ბაბუცა მაქაცარია მაშინ მარტო არ ყოფილა: ნოვოროსიისკში მასთან ერთად ჩავიდნენ ომის ვეტერანი ვლადიმერ შენგელია და შინმოუსვლელი მეომრის ქალიშვილი მიმოზა ქობალია. ამჯერად სხვებმაც გამოთქვეს სურვილი, მაგრამ გზაში ავად გახდნენ და ბაბუცა იძულებული გახდა მარტო გაეგრძელებინა გზა თბილისამდე. მას არ დაურღვევია მარშრუტი და დროზე ჩავიდა დედაქალაქში, სადაც ვეტერან ქალს მხურვალე შეხვედრა მოუწყვეს.

ზუგდიდის ნ. ანთელავას სახელობის რესპუბლიკური საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილების ბებია ქალს, დიდი ოჯახის პატრონს თავისუფალი დრო სანატრელი აქვს, მაგრამ მაინც ახერხებს სისტემატურად ივარჯიშოს, ბევრს დადის ფეხით, ამიტომაცაა, რომ დღესაც ასე მხნედ და ენერგიულად გამოიყურება.

ბაბუცას საინტერესო ცხოვრების გზა აქვს გამოვლილი. სამედიცინო ტექნიკუმში ახალდამთავრებული ჰქონდა, ომი რომ დაიწყო. იგი მოხალისედ წავიდა ფრონტზე, ახალგათხოვილი, მეუღლეს წაჰყვა თან, რომელიც ომის პირველსავე დღეებში დაიღუპა. ბაბუცა სამხედრო ნაწილში არ ჩაურიცხავთ, უთქვამთ, უფლება არა გვაქვსო. თითქმის ერთ წელიწადს „არალეგალურად“ იყო მებრძოლების მხარდამხარ, უკან დაბრუნებაზე წუთითაც არ უფიქრია. შემდეგ კი 224-ე დივიზიის 185-ე მსროლელ პოლკში მიუღიათ. ვინ იცის რამდენ ჯარისკაცს აჩუქა სიცოცხლე ქართველმა ქალმა ტამანის ნახევარკუნძულის, ქერჩის, ანაპის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. იგი პირველი დღეებიდანვე დონორი გახდა.

ომის შემდეგ მშობლიურ სოფელში დაბრუნდა და ოთარ ფარულავასთან ერთად ოჯახი შექმნა. შვიდ შვილიშვილს დაურწია აკვანი. ახლა იგი ახალ მოგზაურობაზე ემზადება. „გაჩერდი, ქალო, რა დროს შენი სიარულია, ქე მაინც მე წავალ შენს მაგივრად“. — ეხუმრება ხოლმე ოთარი. ახლა კი თავად ბაბუცას მოეუსმინოთ:

— პირველად, ნოვოროსიისკში რომ წავედი, მეშინოდა, ვაითუ ვერ გავუძლო ასეთ შორ გზას. მეთქი. ახლა უკვე მაქვს გამოცდილება. თბილისში ჩასვლა სულ არ გამჭირვებია. თანაც ყველგან დიდი ყურადღებით მექცეოდნენ. გულთბილად დამხვდნენ ცხაკაიაში, ბაბაძეში, სამტრედიაში, ქუთაისში, იგოეთში ფიზკულტურის მასწავლებელმა ვახტანგ თათარაშვილმა შინ მიმიწვია და მიმასპინძლა. ჩემი შთაბეჭდილების წიგნი სავსეა სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა გულთბილი სიტყვებით. თუმცა ზოგიერთი გაკვირვებული მიყურებდა — ეუცხოებოდათ ჩემი მოგზაურობა. რატომღაც ჩვენს ხალხს სათაკილოდ მიაჩნია ასეთი რამ. განა სიარული დასაძრახია? ახლა ტელევიზიით გავიგე, თურმე მშვიდობის მსოფლიო ესტაფეტა მზადდება მარშრუტით ნიუ-იორკი—ვაშინგტონი. საბჭოთა კავშირის ვეტერანთა საბჭოს განცხადებით მივმართე — მსურს მისი სახელით მონაწილეობა მივიღო ამ დიდ სამშვიდობო ფორუმში. არ ვიცი, რა პასუხს მივიღებ, მე კი მზად ვარ ჩემი ხმა შევუერთო მშვიდობის მომხრე ყველა ადამიანის ხმას. დროა, დედამიწაზე საბოლოოდ გამეფდეს თავისუფლება, ბედნიერება, სიყვარული.

ნუგზარ ფხაკაძე,
„ლელოს“ საკ. კორ.
ზუგდიდი.

• • •

სურათზე: ზუგდიდელები საზეიმოდ აცილებენ ბაბუცა მაქაცარიას თბილისისაკენ.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

„დინამო“ (თბილისი) — „არარატი“ (ერევანი) 1:2 (0:2)

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 18 აპრილი.

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, თევზაძე, ჭედია (შესხი, 29), არზიანი, რევიშვილი, ხვანაძე, სულაქველიძე, კორღალიძე (გ. ჭიშკარიანი, 70), გურული, ფანცულაია.

„არარატი“: პოდშივალოვი, კირაკოსიანი, სარჭისიანი, ხაჩატრიანი, აივაზიანი (ვერანიანი, 66), ენგიბარიანი (აკოპიანი, 46), კამალიანი, ხაშმანიანი, ჭოჩარიანი, გალუსტიანი, მელიქიანი.

მსაჯი ა. სპირინი (მოსკოვი).

გაფრთხილეს სარჭისიანი, ხაშმანიანი.



თბილისის „დინამოსა“ და ერევნის „არარატის“ შეხვედრათა ტრადიციულ პრინციპულობაზე მრავალჯერ ითქვა და დაიწერა. ჯერ არ ყოფილა ამ ორი გუნდის საკავშირო ჩემპიონატის მატჩი, რომ მას აკლდეს ემოციურობა ან უკიდურესი დაძაბულობა და, თუმცა, ძველ მეტოქეთა შეხვედრებში ხშირად არის ისეთი, ერთი შეხედვით აბსურდული, „გაუგებარი“ ანგარიშები, როგორიცაა 5:0 და 0:4, 7:4 და 1:5, მაგრამ ეს შეუსაბამობანი მთავარ არსს არ ცვლის: თბილისელები ღებულობენ თავიანთ მინდორზე ერევნელებს, თუ „არარატია“ მასპინძელი, სულ ერთია, ბრძოლა უშეღავათოდ, მწვავედ და მძაფრად მიმდინარეობს.

გამონაკლისს, რა თქმა უნდა, არც ახლანდელი მატჩი წარმოადგენდა. მის შედეგს ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა, როცა ჯერ კიდევ საკავშირო ჩემპიონატის დასაწყისია და გათამაშების ცხრილის თავისებური ფორმირება ხდება, თითოეული მატჩის შედეგი ფრიად მნიშვნელოვანია. ახლანდელ დანაკარგს შემდგომში, ყოველ გუნდს რომ დაღებითი თუ უარყოფითი პერსპექტივები გამოეკვეთება, ძნელად თუ აინაზღაურებ.

მატჩი წავაგეთ. მართალია, ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო არბიტრის ა. სპირინის მისამართით კონკრეტულ პრეტენზიებს ვერ გამოვთქვამთ, თუმცა, მან რომ თავისი რანგისა და მაღალი კვალიფიკაციის შესაფერისად ვერ უხელმძღვანელა თამაშს, ეს ცხადია: იყო ცალკეული შეცდომები, გაუგებარი ლაფსუსები. მაგრამ ჩვენი წაგება რომ მსჯის დავაბრალოთ, ჯერ ერთი, ეს სწორი არ იქნება, მეორეც — ეს დათვურ სამსახურს გაუწევს პირველ ყოვლისა საკუთრივ ჩვენს გუნდს და, მერე, მის ქომაგებსაც.

წავაგეთ იმიტომ, რომ „არარატმა“ უკეთ და სწორად ითამაშა, ვიდრე „დინამომ“! მეტოქე გაცილებით უფრო მობილიზებული, მიზანსწრაფული და ორგანიზებული იყო. წავაგეთ იმიტომ, რომ არასწორად იყო დაკომპლექტებული შემადგენლობა. გაუგებარი დარჩა მოთამაშეთა შეცვლის მიზეზიც და მიზანიც.

კვლავ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ სავალალო სინამდვილეს, რომ თბილისის „დინამო“, როგორც წესი, თამაშის პირველ ნახევარს გაცილებით უფრო სუსტად ატარებს, ვიდრე ეს მას შეუძლია და მხოლოდ მეორე ტაიმში გამოჩენილი ენერგია და მონდომება საქმეს ყოველთვის ვერ შველის. ახლაც, პირველი 45 წუთის განმავლობაში თბილისელებმა ვერაფრით ვერ მიაგნეს თავიანთ თამაშს, ხშირი იყო შეცდომები დაცვაში, ნახევარდაცვის რგოლი როგორღაც „თავისთვის“, იზოლირებულად მოქმედებდა, რეალურ დახმარებას ვერ უწევდა მცველებს და ვერც თავდასხმელებს ეხმარებოდა რიგიანად, ამასთან ჩვენს ნახევარმცველებს საოცრად უხუსტო პასი აქვთ. რამდენიმე ნაბიჯზე მყოფ უახლოეს მეტოქესთან ისინი, ასე თუ ისე, ახერხებენ კომბინაციური კონტაქტების დამყარებას, მაგრამ საქმარისია საქმე მიდგეს შორეულ გადაცემებზე, რომ აქ ბურთი აშკარად უმისამართოდ იგზავნება და მეტოქეებისთვის იგი გაცილებით უფრო იოლი მისაღებია, ვიდრე პარტნიორებისთვის. მართალია, „არარატის“ კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ მათი რეალიზება არ მოხერხდა არაფრით, „დინამოს“ ფორვარდები მკაცრი პრესინგის ვითარებაში სისტემატურად აგებდნენ ბრძოლას მცველებთან. თამაში რამდენადმე გამოაცოცხლა შეცვლაზე შემოსულმა მესხმა, იგი საკმაოდ იოლად სძლევდა მეტოქის მცველებს ინდივიდუალური ბრძოლისას, მაგრამ მისი საბოლოო გადაცემები კარის წინ მეტად არაზუსტი იყო. მარცხენა ფლანგიდან მოწოდებულ ბურთებს, უმეტესად, ერევნელთა მცველები იგერიებდნენ.

მონდომებასა და თავგამოდებაზე ამჯერად არ ვლაპარაკობთ. თბილისის „დინამოს“ რიგებში ამ დღეს არ იყო არც ერთი ფეხბურთელი, რომელსაც შეგვიძლია დავაყენოთ ინერტულობა და სიზარმაცე, მაგრამ თუ ვილაპარაკებთ სპორტული ოსტატობის დონეზე, აქ აშკარა ჩავარდნა გვაქვს. თბილისელ ფეხბურთელთა უმრავლესობას რატომღაც ჰგონია, რომ თამაშის ტექნიკა ეს არის ბურთის გაუთავებელი ტარება და დრიბლინგი. ამას ისინი საკმარისზე მეტ ხარჯს უხდიან, მაგრამ თუ ვილაპარაკებთ თამაშის ორგანიზაციაზე, კოლექტიურ ტაქტიკურ ოსტატობაზე და ჩაფიქრებულ კომბინაციათა განხორციელებაზე, აქ აშკარად ჩამოვრჩებით. სრულიად მარტივ ვითარებაში, როცა ერთ შორეულ გადაცემას შეუძლია გადაწყვიტოს ამა თუ იმ ტაქტიკური ჩანაფიქრის ბედი, ზოგიერთი დინამოელი ერთფეროვან იმას ლამობს, საკუთრივ გაირბინოს ეს მანძილი და იქ მიიტანოს ბურთი, სადაც საამისოდ სრულიად საკმარისი იყო სწრაფი, ზუსტი, ჭკვიანური პასის გაკეთება. ასეთ ინდივიდუალურ მანევრებს დროც ბევრი სჭირდება, შრომაც და ენერგიაც, ეფექტი კი თითქმის არ არის. მეტოქე მუდამ ასწრებს კონტრზომების მიღებას.

აღნიშნულ მატჩში „არარატს“ ჰყავდა ორი აშკარად გამოკვეთილი თამაშის ორგანიზატორი, ლიდერი, რომელთა უნარიანმა მოქმედებამ არსებითად განაპირობა კიდეც გუნდის წარმატება. ეს ლიდერები იყვნენ სარჭისიანი (№ 3) და კირაკოსიანი (№ 2). დაცვაშიც და ნახევარდაცვაშიც ისინი თითქმის უშეცდომოდ, აქტიურად მოქმედებდნენ, სწორედ მათი ტექნიკური და ტაქტიკური ოსტატობის წყალობით შეძლო სტუმართა გუნდმა თამაშის სწორად წარმართვა.

ასეთი ლიდერები და ორგანიზატორები დინამოელებს არა ჰყავდათ. მართალია, ბევრი იშრომეს სულაქველიძემ და თევზაძემ, მაგრამ მათი მაორგანიზებელი, შემაკავშირებელი როლი ნაკლებად იგრძნობოდა, საერთოდ, დინამოელთა თამაში ამ დღეს იმპულსური და ფეთქებადი უფრო იყო, ვიდრე რიგიანად მოფიქრებული, აწყობილი და დაგეგმილი ტაქტიკური ბრძოლა.

პირველი ბურთი „არარატმა“ 23-ე წუთზე გაიტანა სწრაფად მოფიქრებული კონტრშეტევის შედეგად. მინდვრის სიღრმიდან მოწოდებულ შორეულ გადაცემაზე სწრაფად გავიდა კირაკოსიანი, ჭედია ჩამორჩა და ვერ დაეწია მეტოქეს, კირაკოსიანმაც ზუსტი დარტყმით გაგზავნა ბურთი ბადეში. ვიმეორებთ, ეს დინამოელთა უხეში ტაქტიკური შეცდომის შედეგი იყო.

მეორე გოლი მთლიანად ჩვენი მეკარის ტექნიკური შეცდომის შედეგია. მიმდინარეობდა 41-ე წუთი, როცა აივაზიანმა შორი მანძილიდან, დაახლოებით 25 მეტრიდან, დაარტყა კარში. გაბელიამ აიღო ბურთი, მაგრამ ხელიდან გაუშვა და მელიქიანმა ყველაზე უფრო ადრე მოისაზრა, როგორც უნდა ემოქმედა..

0:2 პირველი ტაიმის შემდეგ სერიოზული ფორმა დაწინაურებულ გუნდისთვის, მაგრამ უნდა ითქვას, რომ დინამოელებმა შესვენების შემდეგ მთელი ძალები მობილიზებულად, მთლიანად მოსაცულებად, მათ არ შეუნელებიათ იერიშები, თუმცა, დასჯერდნენ მხოლოდ გუნდის მეორე 47-ე წუთზე 11-მეტრიანი დარტყმით გატანილ ერთადერთ საპასუხო გოლს.

აქ კვლავ და კვლავ გვიხდება იმაზე ლაპარაკი, რომ ორი საფეხბურთო ტაიმის ამგვარი განაწილება, ე. ი. აშკარად ცუდად და ნაგვიანევი კარგი თამაში მხოლოდ ზიანს მოუტანს ჩვენს გუნდს. აღსაწერადაც ძნელია თუ რამდენი სახიფათო მომენტი შეიქმნა „არარატის“ კართან, დრო და დრო „დინამო“ მთელი შემადგენლობით მოპირდაპირე საჯარიმოსთან იყო დასახლებული, მაგრამ შედეგი ამას არ მოჰყოლია. საგოლე პოზიციაში ჩვენი მოთამაშეები ნაჩქარევად მოქმედებდნენ, დროზე ვერ იხსნებოდნენ, ჯგუფურად იყრიდნენ თავს, და არსებითად კარის დაცვას უადვილებდნენ სტუმრებს. მატჩის დასასრულამდე სულ გვჭონდა იმის იმედი, რომ დინამოელები თუნდაც საპასუხო ბურთს გაიტანდნენ, მაგრამ „არარატი“ გადაურჩა ამ ხშირ ეერიშებს, მთელმა გუნდმა და განსაკუთრებით მეკარე პოდშივალოვმა შეძლეს ყველა ხიფათის უვნებელყოფა.

ლაპარაკი „არარატის“ გამარჯვების კანონზომიერებაზე ზედმეტად მიგვაჩნია: ერევნელებმა, გარდა იმისა, რომ მონდომებით ითამაშეს, საქმარისი ოსტატობაც გამოავლინეს, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა თამაშში კი ამჯერად მონდომება, ზედმეტი ფუსფუსი უფრო მეტი იყო, ვიდრე ოსტატობა და სწორი თამაშის ორგანიზაცია. ამიტომაც დავმარცხდით.

ახლა თბილისის „დინამო“ კვლავ მეტად ძნელი ამოცანის წინაშე იმყოფება: 24 აპრილს ჩვენი გუნდი ბაქოში ეთამაშება „ნეფთჩის“, ბაქოელები კი ახლა ბოლო ადგილზე იმყოფებიან და საკუთარ მინდორზე ყოველწაირად შეეცდებიან დაკარგული პოზიციების აღდგენას. ამიტომაც თბილისის დინამოელებს „ნეფთჩისთან“ გაათკეცებული ძალით მართებთ ბრძოლა.

„ლელოს“ ფეხბურთის განყოფილება.

ინტერვიუ მატჩის შემდეგ

გერმან ზონინი. **თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი: რა თქმა უნდა, ჩვენმა გუნდმა თავის შესაძლებლობებზე სუსტად ჩაატარა მატჩი. ფეხბურთი ორი ტაიმისგან შედგება, დინამოელებმა კი ეს რატომღაც დავიწყეს. პირველი და მეორე ნახევარი რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. თბილისელები არც ფიზიკური, არც ტექნიკური მომზადებით არავის ჩამოუვარდებიან, გუნდმა კი უკვე მეექვსე ტურია თავისი თამაში ვერა და ვერ ითავა. სწორედ ეს არის ხაოცარი და გასაკვირი.**

არკადი ანდრეასიანი. **„არარატის“ მთავარი მწვრთნელი: თბილისელებთან თამაში ერევნელთათვის უოველთვის ძალების უკიდურესი დაძაბვით მიმდინარეობს, ჩვენი გუნდი, როგორც ჩანს, უფრო მომზადებული შეხვდა ჩვენთვის ურთულეს მატჩს. „არარატის“ ფეხბურთელებს თბილისში 1971 წლიდან არ მოუგიათ, და ეს ახლა, ჩვენმეტი წლის შემდეგ შეძლო. გამარჯვებაში უველას თანაბრად მიუძღვის წვლილი, ამიტომაც ცალკეულ ფეხბურთელებს არ გამოვყოფ. რაც შეეხება თბილისის დინამოელებს, მჯერა, რომ გუნდი მალე უძლიერესთა რიგებში ჩადგება. ამის გარანტიას იძლევა ის ნიჭიერი ახალგაზრდა თაობა, რომელიც დღეს გუნდშია.**

რა ღდება?

თბილისის „დინამოს“ მიერ საკავშირო ჩემპიონატის სტარტზე მოპოვებულმა გამარჯვებებმა და, რაც მთავარია, ენერგიულმა, გაზრებულმა თამაშმა გუნდის ქომაგებს იმედი ჩაგვისახა, რომ „დინამო“, ბოლოს და ბოლოს, თავს დაალწევდა ხანგრძლივ კრიზისს, მაგრამ „დნეპრთან“ და „არარატთან“ ჩვენ ბრძოლისუნარიანი კოლექტივის ნაცვლად ვიხილეთ ინერტული, უინიციატივო გუნდი, რომელმაც ორივე ზემოთხსენებული მატჩის პირველსავე ტაიმში დათმო თამაში.

ყველანი ვგრძნობთ, რომ ამ მატჩებში „დინამოს“ შეეძლო უკეთ ეთამაშა. მისი პოტენციური შესაძლებლობები უდავოდ იმაზე მაღალია, რაც ამ შეხვედრებში გამოამჟღავნა. ყოველივე ეს იწვევს ათასნაირ მითქმა-მოთქმას (შესაძლოა არცთუ უსაფუძვლოდ). რატომ მოხდა თამაშის ხარისხის ასეთი მკვეთრი გაუარესება? ამ კითხვაზე სწორ, პირდაპირ და ამომწურავ პასუხს მოველით.

თბილისის „დინამოს“ გულშემატკივართა კლუბი.

ვიდრე ახალი გუნდი შეიქმნება

დასავლეთ ბერლინში გამართული ე. წ. ოთხთა ტურნირის საბოლოო შედეგები ცნობილია. ყველაზე წარუმატებლად ამ ტურნირზე არგენტინელებმა ისპარეზეს. გთავაზობთ ინტერვიუს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთა მწვრთნელთან დოქტორ კარლოს ბილარდოსთან, რომელიც გდრ-ის გაზეთ „შპორტეხოში“ დაიბეჭდა.

● თქვენმა გუნდმა ოთხთა ტურნირზე უკანასკნელი, მეოთხე ადგილი დაიკავა. როგორ აფასებთ არგენტინელთა გამოსვლას?

— შეგეგით, რასაკვირველია, უკმაყოფილო ვარ. მაგრამ არ დავიწყოთ, რომ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გუნდის 23 წევრი უცხოეთის კლუბებში გადავიდა. ახალი კოლექტივის შექმნას კი გარკვეული დრო სჭირდება.

● როგორი შედეგები აჩვენეს ახალგაზრდა ფეხბურთელებმა?

— ზოგიერთმა ახალგაზრდა ფეხბურთელმა ურიგოდ არ ითამაშა: მათ გვარებს აქ არ დავასახელებ. ის ფაქტი, რომ არგენტინის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონია, შესაძლოა ბოჭავს კიდეც მათ მოქმედებას. პირველ რიგში ფსიქოლოგიური ფაქტორი უნდა დაიძლიოს.

● ნაკრების დაცვის ხაზი მოიხუსტებდა...

— არ გეკამათებით. ეს ჩვენც კარგად შევამჩნიეთ. თითქმის ყველა გოლი მარცხენა ფრთიდან გავიდა. ვფიქრობ, რომ მომავლისთვის ეს ხარვეზი და ზოგიერთი სხვაც უნდა გამოვასწოროთ.

● როგორ აფასებთ ტურნირის დონეს?

— ცალკეული ეპიზოდების გარდა, ტურნირი განსაკუთრებით არაფრით გამოირჩეოდა. პროტასოვის მსგავსი თავდამსხმელი შემადგენლობაში გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა საბჭოთა კავშირის ნაკრებს.

მასალა მოამზადა
მალხაზ რადიანმა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. „ზენიტი“ (ლენინგრადი)	6	4	1	1	15-11	9
2. „დინამო“ (მოსკოვი)	7	4	1	2	9-7	9
3. „დინამო“ (კიევი)	6	3	2	1	7-3	8
4. „ტორპედო“ (მოსკოვი)	6	3	2	1	7-3	8
5. „უალგირისი“ (ვილნიუსი)	6	3	1	2	8-6	7
6. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	6	3	1	2	8-8	7
7. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	6	2	3	1	6-3	7
8. „სპარტაკი“ (მოსკოვი)	6	2	3	1	6-5	7
9. „დინამო“ (თბილისი)	6	3	0	3	13-12	6
10. „ჩერნომორეცი“ (ოდესა)	6	3	0	3	4-6	6
11. „შახტიორი“ (დონეცკი)	6	2	2	2	7-6	6
12. „არარატი“ (ერევანი)	6	2	1	3	4-5	5
13. „დინამო“ (მინსკი)	5	1	2	2	5-5	4
14. „მეტალისტი“ (ხარკოვი)	6	1	2	3	4-9	4
15. „კაირატი“ (ალმა-ათა)	6	1	0	5	2-8	2
16. „ნეფთჩი“ (ბაქო)	6	0	1	5	1-9	1

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობა, მდგომარეობა 20 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. „ზენიტი“ (ლენინგრადი)	6	4	1	1	15-11	9
2. „დინამო“ (მოსკოვი)	7	4	1	2	9-7	9
3. „დინამო“ (კიევი)	6	3	2	1	7-3	8
4. „ტორპედო“ (მოსკოვი)	6	3	2	1	7-3	8
5. „უალგირისი“ (ვილნიუსი)	6	3	1	2	8-6	7
6. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	6	3	1	2	8-8	7
7. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	6	2	3	1	6-3	7
8. „სპარტაკი“ (მოსკოვი)	6	2	3	1	6-5	7
9. „დინამო“ (თბილისი)	6	3	0	3	13-12	6
10. „ჩერნომორეცი“ (ოდესა)	6	3	0	3	4-6	6
11. „შახტიორი“ (დონეცკი)	6	2	2	2	7-6	6
12. „არარატი“ (ერევანი)	6	2	1	3	4-5	5
13. „დინამო“ (მინსკი)	5	1	2	2	5-5	4
14. „მეტალისტი“ (ხარკოვი)	6	1	2	3	4-9	4
15. „კაირატი“ (ალმა-ათა)	6	1	0	5	2-8	2
16. „ნეფთჩი“ (ბაქო)	6	0	1	5	1-9	1

ფეხბურთი

სამი ტურის შემდეგ

გაიმართა ოლიმპიური რეზერვებისა და I ლიგის ფეხბურთელთა გუნდებთან არსებული სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების საკავშირო პირველობის III ტურის შეხვედრები. გთავაზობთ შედეგებს.

ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 1:0, „დინამო“ (ბათუმი) — „დინამო“ (თბილისი) 1:1, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 3:1.

3 ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილი ასე გამოიყურება:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
35-ე სკოლა	3	2	0	1	11-6	4
ახ. საფ. სკ.	3	2	0	1	5-4	4
„დინამო“ (ბ.)	3	1	2	0	5-4	4
„დინამო“ (თბ.)	3	1	1	1	7-5	3
„ტორპედო“	3	1	0	2	3-8	2
„გურია“	3	0	1	2	3-8	1

გამარჯვებით დაიწყეს

ამ დღეებში სტარტი მიეცა „გადასასვლელის“ საკავშირო გათამაშებას ფეხბურთში გაზეთ „ფუტბოლ-ჰოკეის“ პრიზზე, მასში მონაწილეობენ 1970-1971 წლებში დაბადებული ჭაბუკები. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას გლდანის სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატის გუნდი იცავს.

პირველ შეხვედრაში ჩვენი გუნდი „სინათლის“ სტადიონზე ერევნელ თანატოლებს შეხვდა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:1. პირველი ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: როსტოვი — ვოროშილოვგრადი 3:0, ბაქო — დნეპროპეტროვსკი 1:1, ვოლგოგრადი — სტავროპოლი 2:0.

„სიჭაბუკის“ თასზე

გრძელდება „სიჭაბუკის“ თასის რესპუბლიკური გათამაშება ფეხბურთში 1973-1974 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის, რომელიც ორ წრედ, მიმოსვლით ტარდება. შეჯიბრების შემდგომ ეტაპზე ითამაშებენ: „დინამო“ (თბილისი), გან. განყ. გუნდი (ბათუმი), „მეშახტე“ (ტყიბული), „მეტალურგი“ (რუსთავი), „შევარდენი“ (თბილისი), „ავაზა“ (თბილისი), გან. განყ. გუნდი (სოხუმი), 35-ე სკოლა (თბილისი). გუნდები ასე დაწყვილდნენ: გან. განყ. გუნდი (სოხუმი) — 35-ე სკოლა (თბილისი), „შევარდენი“ (თბილისი) — „ავაზა“ (თბილისი), „მეტალურგი“ (რუსთავი) — „მეშახტე“ (ტყიბული), გან. განყ. გუნდი (ბათუმი) — „დინამო“ (თბილისი).

პირველი შეხვედრები გაიმართება 24 აპრილს, ხოლო განმეორებითი — 1 მაისს.

ხვალინდელ დღეზე ზრუნვით

(დასასრული)

სკოლა მდებარეობს ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალური საწყლოსნო-სპორტული კომპლექსის ტერიტორიაზე, რომლის დირექტორი რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ვლადიმერ გოიაშვილი ერთდროულად სკოლის დირექტორიც არის. ბავშვების გაწაფვულებაშია ამ საუცხოო სპორტული ნაგებობის ყველა სამსახური. აქვე სწავლობენ ისინი სპეციალურად ორგანიზებულ კლასებში. საღამოთი კი შინ მიდიან. წყლის ბილიკებზე მათთან მუშაობენ გამოცდილი სპეციალისტები. ყოველთვის ბავშვების გვერდით არიან კომპლექსის მთავარი ექიმი ალექსანდრე კობელევი და მისი კოლეგები. დიდ დახმარებას უწევს სკოლას თბილისის სპორტკომიტეტიც.

— გადავწყვიტეთ თვითონ გვეზრუნა სკოლის შევსებისათვის, — თქვა შემდეგ ლევ ვეჩხაიზერმა, — დამწყებთა ჯგუფიდან ავიყვანეთ 150 ბავშვი, ვამზადებთ მათ განსაკუთრებული პროგრამით. სექტემბერში, როცა მოვაწყობთ მორიგ კონკურსს, ჩვენთან გადმოვა კიდევ 34 მოცურავე, მაგრამ უკვე 1974-75 წლებში დაბადებულები. სკოლა კი სულ 120 ბავშვისათვის არის გათვალისწინებული.

● **როგორ ეკიდებიან ამას ქალაქის სპორტსკოლების მწვრთნელები? თქვენ ხომ მათ უველაზე პერსპექტიულ მოწაფეებს „ართმევთ“...**

— ახალბედების მიღებისას, საკუთარ დამსახურებად როდი ვთვლით მათი მწვრთნელების მუშაობას, პირიქით, ვცდილობთ მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები გვქონდეს იმათთან, ვინც სკოლაში გზავნის თავის მოწაფეებს, ვიწვევთ მათ ერთობლივი წვრთნისათვის. სხვათა შორის, სხვა სპორტსკოლების მწვრთნელებსაც შეუძლიათ გახდნენ ჩვენი კოლექტივის სრულუფლებიანი წევრები, მაგრამ მას შემდეგ, რაც გაიცლიან საკონკურსო გამოცდებს.

● **როგორ შედგა სკოლის დებიუტი ალტუხში.**

— ჩვენი და აუზის მასპინძლების გარდა შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ვილნიუსის, პანევეჟისისა და გროდნოს გუნდები. ალტუხში ჩავიყვანეთ რვა-რვა ჭაბუკი და გოგონა. თითოეული მათგანი გახდა ასპარეზობის გამარჯვებული ან პრიზიორი. გუნდური გამარჯვების გარდა 19 პირადი გამარჯვებაც მოვიპოვეთ. საუკეთესოდ გამოვიდნენ ლიკა ჭიპაშვილი, სვეტლანა შიპიცოვა, ირაკლი საყვარელიძე, ლინა სამოილენკო, ოლეგ იაკუშევა, ნინო გარდავა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ასპარეზობისათვის სპეციალურად არ მოვმზადებულვართ, მაგრამ მოცურავეებმა თავიანთი საუკეთესო შედეგები უჩვენეს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ დღეებში ბავშვები კიდევ უფრო დაახლოვდნენ, დამეგობრდნენ, ცხოვრობდნენ ერთი ინტერესებით. უნდა ითქვას, რომ იქმნება მომავალი გუნდის პირველსახე.





● **ალბათ, თქვენ კვლავაც დაუთმობთ დიდ ყურადღებას ასპარეზობის პროცესს?**

— უეჭველად. სწორედ ტურნირებში იწრთობა სპორტსმენის ხასიათი, ნებისყოფა, ხდება პიროვნების ჩამოყალიბება. ამ დღეებში ჩვენი აღსაზრდელები მონაწილეობას მიიღებენ სამატჩო შეხვედრაში. რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრებთან. მაისში მოვაწყობთ სკოლის ღია პირველობას, მოვიწვევთ ყველა მსურველს. შემდეგ კი სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოგვიწევს — 20-25 ივნისს ბათუმში გაიმართება შეჯიბრება მეორე რესპუბლიკური ახალგაზრდული ასპარეზობის პროგრამით, სადაც შევარჩევთ კანდიდატებს საკავშირო ფინალში მონაწილეობისათვის. იგი მოეწყობა 16-23 ივლისს კუიბიშევში.

ერთი შეხედვით, სკოლაში ყველაფერი რიგზეა. მაგრამ ბავშვებს ასეთი ძოლი ცხოვრება როდი აქვთ. ისინი დღეში ორჯერ ორ-ორ საათს ვარჯიშობენ. კიდევ საათნახევარი ხმარდება საერთოფიზიკურ მომზადებას. შემდეგ—მეცადინეობა სასკოლო პროგრამით. მაგრამ აქამდე არ გადაწყვეტილა კვების საკითხი. პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ ვერაფრით ვერ შეძლო მათი უზრუნველყოფა შესაბამისი ტალონებით. მთელ რვა თვეს ბავშვები იკვებებიან კომპლექსის ბუფეტში... საკუთარი ფულით. ან უწევთ შინ წასვლა და უკან დაბრუნება. ამაში იკარგება ძვირფასი დრო, რომელიც განკუთვნილია დასვენებისათვის, ირღვევა რეჟიმი.

შ. შალოლაშვილი,
(საქინფორმის კორ.).

ახლა დარჩა არახამია—კახიანის შეჯიბრი

(დასასრული)

კი დიდი ბრძოლაა გაჩაღებული.

თავგამოდებით იბრძვიან 16 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატის ერთადერთი საგზურის პრეტენდენტებიც, რომელთა შორის გამარჯვებულსაც ბოლო ტური დაასახელებს. გაგაცნობთ ბოლოსწინა, XII ტურის შედეგებსა და ლიდერთა მდგომარეობას.

XII ტური: ერმოლინსკაია-კახიანი — 0:1, სკუინია-ჯანჯღავა — 0,5:0,5, ლევიტანი-ლანჩავა —0,5:0,5, დომარკაიტე-ბელაკოვსკაია — 0:1, სულთანოვა-დიომინა — 0:1, სოფიევა-ტერელაძე — 1:0, სოკოლოვა-ველიხანლი — 0:1

12 ტურის შემდეგ ქეთევან კახიანს 10,5 ქულა აქვს, აინურ სოფიევას — 8,5, ლაიმე დომარკაიტეს (ლიტვა), იულია დიომინას (რსფსრ) და ნადეჟდა ბელაკოვსკაიას (უკრაინა) — 7-7...

კადეტთა შორის წინ კვლავ სოფიკო ტერელაძეა — 6 ქულა. 5,5 ქულა მოაგროვა იულია ლევიტანმა (ბელორუსია), 5 — თეა ლანჩავამ, 4,5 — ნათია ჯანჯღავამ.

გორჯომში, 21 წლამდე ასაკის ჭაბუკ მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალურ ტურნირში, გათამაშდა VII ტურის შეხვედრები. ლაშა ჯანჯღავამ შავებით ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ლენინგრადელ დიმიტრი კომაროვთან, სოროკინი დაუზავდა ულიბინს, აკოფიანმა სძლია კამსკის, სმირინი დამარცხდა შიროვთან, შჩერბაკოვი — ხენკინთან.

7 ტურის შემდეგ წინ გავიდა რიგელი ალექსეი შიროვი — 5,5 ქულა (7-დან). ალექსანდრე დრეევს (მოსკოვის ოლქი) 4,5 ქულა აქვს (6-დან). ამდენივე ქულა დაუგროვდა მაჭსიმ სოროკინს (მოსკოვის ოლქი), ოღონდ— 7 შეხვედრიდან. ერევნელმა ვლადიმერ აკოფიანმა 4 ქულა მოაგროვა (7-დან). შემდეგ მოდიან: ლაშა ჯანჯღავა — 3 (6-იდან), იგორ ხენკინი (ლენინგრადის ოლქი) — 3 (7-იდან), გატა კამსკი (ლენინგრადი), ილია სმირინი (მინსკი), დიმიტრი კომაროვი (ლენინგრადი) — 2,5-2,5 (6-6-იდან), რუსლან შჩერბაკოვი (ჩელიაბინსკი), მიხეილ ულიბინი (სვერდლოვსკი) — 1,5-1,5 (6-6-იდან).

რეგბი

პირველი ლიგა იწყება

შაგათს, 23 აპრილს იწყება პირველი ლიგის გუნდების საკავშირო გათამაშება რეგბიში, რომელშიც ჩაებმება თორმეტი გუნდი: ხარკოვის ტატ, თბილისის „შევარდენი“, ნოვოკუზნეცკის სმი, მოსკოვის „სპარტაკი“, ლვოვის „სოკოლი“, კიევის „პოლიტეხნიკი“, შიაულიაის „ვაირასი“, ტაგანროგის „რადუგა“, ნალჩიკის „უნივერსიტეტი“, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი (მაი), იელგავის „რაფი“, დნეპროპეტროვსკის „პრესი“. პირველ ეტაპზე გუნდები ორწრიან ტურნირს გამართავენ, შემდეგ ოთხი უძლიერესი უმაღლესი ლიგის ოთხ აუტსაიდერს ახალ, ორწრიან ტურნირში შეეცილება საგაისოდ უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებას, დანარჩენი რვა გუნდი კი კიდევ ორ წელს ჩაატარებს.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდის „შევარდენის“ მეტოქეები პირველ ეტაპზე იქნებიან: 23.04 მაი (თბილისში), 26.04 სმი (თბ.), 04.05. „რაფი“ (თბ.), 07.05 „ვაირასი“ (თბ.), 14.05 ხტუ (სტუმრად), 17.05 „სპარტაკი“ (სტ.), 28.05 „პრესი“ (თბ.), 31.05 „სოკოლი“ (თბ.), 04.06 „რადუგა“ (სტ.), 07.06 „პოლიტეხნიკი“ (თბ.), 11.06 „უნივერსიტეტი“ (სტ.), 18.06 მაი (სტ.), 21.06 სმი (სტ.), 28.06 ხტუ (თბ.), 02.07 „სპარტაკი“ (თბ.), 05.07 „რაფი“ (სტ.), 08.07 „ვაირასი“ (სტ.), 16.07 „პრესი“ (სტ.), 19.07 „პოლიტეხნიკი“ (სტ.), 23.07 „რადუგა“ (თბ.), 30.07 „სოკოლი“ (სტ.), 06.08 „უნივერსიტეტი “(თბ.).

მსოფლიო ჩოგბურთის ამბები

მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელები ინტენსიურად მონაწილეობენ საერთაშორისო ტურნირებში.

ნიცა. ანრი ლეკონტი (საფრანგეთი) ნახევარფინალში ანდრეი ჩესნოკოვთან გამარჯვების შემდეგ ფინალში თავის თანამემამულეს ჟერომ პოტიეს შეხვდა და ისიც დაამარცხა — 6:2, 6:2. „გრან პრის“ პროგრამით გათვალისწინებულ ამ ტურნირში წარმატებამ ლეკონტი მსოფლიო კლასიფიკაციაში საკმაოდ წინ წასწია.

ტოკიო. უიმბლდონის სამგზის ჩემპიონი და 80-იანი წლების დასაწყისის მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი ამერიკელი ჯონ მაკენროუ (ამჟამად იგი 25-ე ჩოგნად ითვლება) კვლავ იბრუნებს ჩვეულ სპორტულ ფორმას. 29 წლის სპორტსმენმა ამ რამდენიმე დღის წინათ იაპონიის ღია ჩემპიონატი მოიგო, თანაც ფინალში ადვილად დაამარცხა (6:2, 6:2) მსოფლიოს მესამე ჩოგანი, შვედი სტეფან ედბერგი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1986 წლის შემდეგ ეს მისი პირველი დიდი გამარჯვებაა. ქალთა ფინალურ შეხვედრაში პატი ფენდიკმა სტეფანია რეინე (ორივე — აშშ) დაამარცხა — 6:3, 7:5.

თავის უფალი დღის მეუხედავად

ბარსელონი გრძელდება მოჭადრაკე ვაუთა „მსოფლიოს თასის“ გათამაშება. I ეტაპის XIV ტურში მსოფლიოს ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი ისვენებდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მას ვერავინ დაეწია. კარპოვს 9 ქულა აქვს და კვლავინდებურად ლიდერობს შეჯიბრებას.

ამ ტურში პირველი გამარჯვება მოიპოვა ახალგაზრდა ბელგიელმა ოსტატმა ლუი ვინანტსმა (იგი კონკურსგარეშე მონაწილეობს), რომელმაც უნგრელი დიულა საქსი დაამარცხა.

XIV ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ნოგეირასი-ნიკოლიჩი — 1:0, პორტიში-ლიუბოევიჩი — 0:1, ანდერსონი-სეირავანი — 1:0, სალოვი-კორჩნოი — 0,5:0,5, ტალი-სპილმენი — 0,5:0,5, ბელიავსკი-სოკოლოვი — 0,5:0,5. გადაიდო ტომან-ნანის პარტია.

14 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: ანატოლი კარპოვი — 9 ქულა (13 შეხვედრიდან), ვალერი სალოვი — 8,5 (14-დან), ალექსანდრე ბელიავსკი — 8 (13-დან), ულფ ანდერსონი — 8 (14-დან), ჯონ ნანი — 7,5 (1; 13-დან).

კალეიდოსკოპი

ამერიკელებიც ემზადებიან

აშშ-ში განზრახული აქვთ 1994 წლის ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლონ. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ქვეყნის ყოფილი სახელმწიფო მდივანი, ფეხბურთის კარგი მცოდნე და დიდი გულშემატკივარი ჰენრი კისინჯერი. ამ ჯგუფში შეყვანილია აშშ-ს პოლიტიკური და ეკონომიკური წრეების კიდევ 16 წამყვანი წარმომადგენელი. საორგანიზაციო კომიტეტთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს, ავრეთვე, წამყვანმა კორპორაციებმა „უორნერ კომუნიკეიშნმა“, „იუნონ პასიფიკმა“ და „ანჰაიცერ-ბუშმა“.

ოლიმპიური ნორმატივები

ნიგერიის მძლეოსნობის ასოციაცია ოლიმპიური გუნდის კანდიდატთა შერჩევას ამთავრებს, მაგრამ, ასოციაციის პრეზიდენტის აბდულკარიმ ამუს განცხადებით ნაკრების „კარი მაინც ღია რჩება“.

იმისთვის რომ ნიგერიის ნაკრებ გუნდში მოხვდეს კანდიდატმა 100 მეტრი 10,30-ში უნდა გაირბინოს, 200 მეტრი — 20,70-ში, 1500 მეტრი — 3.39-ში, სიგრძეში 807 სანტიმეტრზე, სიმაღლეში კი 230 სანტიმეტრზე გადახტეს. ქალთა ნორმატივებიც საკმაოდ მაღალია: 100 მ — 11,50, 200 მ — 22,40, სიგრძე — 7 მეტრი და ა. შ.

იუტა მიულერის ჩემპიონები

იუტა მიულერი (გდრ) მსოფლიოში ალბათ ყველაზე პოპულარული და გამოჩენილი სპეციალისტია ფიგურისტთა მწვრთნელებს შორის. მას, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აღზრდილი ჰყავს მსოფლიოს ოთხი ჩემპიონი. მიულერის მოწაფეებს ოლიმპიადებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში მოპოვებული აქვთ 30 ოქროს მედალი. რაღა უნდა იყოს მეტი.

ახლახან, კალგარის ოლიმპიურ თამაშებში წარმატების შემდეგ სპორტს თავი მიანება მიულერის კიდევ ერთმა მოწაფემ კატარინა ვიტმა, მაგრამ მწვრთნელი იმედს არ ჰკარგავს, რომ სულ მალე კიდევ ერთ ჩემპიონს გამოზრდის. მას ორი განსაკუთრებით ნიჭიერი მოწაფე ჰყავს. ერთი მათგანია ევგენ გროსმანი, რომელთანაც მწვრთნელი წელიწადია მუშაობს და რომელიც ვარჯიშებზე წარმატებით ასრულებს სამმაგ მალაყს. ჩემპიონობის მეორე კანდიდატია, 13 წლის იან კანეგიზერი, რომლის სახელს სპორტული სამყარო უახლოეს ხანში გაიგებს.

რეკორდსმენი ბრალს სდებს

მსოფლიოს რეკორდსმენმა სამტომში ამერიკელმა ვილი ბენჭსმა, რომელიც ჯერჯერობით ვერ მოხვდა ოლიმპიელთა სიაში, აშშ-ს მძლეოსნობის ფედერაციას ბრალი დასდო დოპინგომანიით გატაცებაში. ბრალდებას, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ლოს-ანჯელეს ტაიმსში“ ფედერაციის ხელმძღვანელთა მხრიდან სწრაფი რეაქცია მოჰყვა. ამ ორგანიზაციის მეთაურმა ლეროი უოკერმა ბენჭსის განცხადება „სერიოზულ ბრალდებად“ მიიჩნია და მას საბუთები მოსთხოვა.

თუ ბენჭსი მართალი აღმოჩნდება, ჩვენ მყისვე გავაძევებთ ფედერაციიდან დამნაშავეს, — განაცხადა უოკერმა, — თუ არა და მან პასუხი უნდა აგოს თავის სიტყვებზე.

კალეიდოსკოპი

„სპორტპროგნოზი“

მე-16 ტირაჟის შედეგები
(16-17 აპრილი)

1—1, 2—2, 3—1, 4—1, 5—1, 6—1, 7—2, 8—2, 9—2, 10—X, 11—X, 12—2, 13—X.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05300